„დინამო“ წინ მიიწევს

თბილისი, ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი. 29 მარტი. 75 000 მაყურებელი.

„დინამო“ (თბილისი) – „შახტიორი“ (დონეცკი) 1:0 (0:0)

„დინამო“: გაბელია, კეტაშვილი, ჩივაძე, ჭედია, კუდინოვი, კაკილაშვილი, მახარაძე (ცაავა, 46), სულაქველიძე, გოგრიჭიანი, გაზაევი, ჩელებაძე (მესხი, 78)

„შახტიორი“: ზოლოტნიცკი, ვარნავსკი, სოპკო, გოშკოდერია (დრაგუნოვი, 85), პარხომენკო, რუდაკოვი, იაშჩენკო, სოკოლოვსკი, პეტროვი (გულიაევი, 59), სმოლიანინოვი, გრაჩოვი.

მსაჯი: ვ. კუზნეცოვა (ომსკი).

გოლი: ჩელებაძე (68, პენალტით).

გააფრთხილეს გოშკოდერია, პარხომენკო

დუბლიორები – 1:0, გოლი გაიტანა გურულმა.

სტანდარტული სიტუაციების ეფექტიანი გამოყენება არასოდეს ყოფილა თბილისის „დინამოს“ ძლიერი მხარე. რამდენჯერ გვინახავს უხეიროდ გათამაშებული კუთხური თუ საჯარიმო დარტყმა, რის შედეგადაც ჩვენს ფეხბურთელებს ხელსაყრელ მდგომარეობაში მეტოქისთვის გადაულოციათ ბურთი. არადა, სტანდარტული ვითარების მარჯვედ გამოყენებით მსოფლიოს უძლიერესი საკლუბო თუ ეროვნული ნაკრები გუნდები ხშირად აღწევენ გადამწყვეტ უპირატესობას.

საანგარიშო მატჩის მე–5 წუთზე, როცა კაკილაშვილის მიერ მიწოდებული კუთხურის შემდეგ სტუმართა კარი აშკარა ხიფათს გადაურჩა (გაზაევმა თავით შორეული ძელისკენ დაარტყა ბურთი, იქ კი ჩელებაძემ ოდნავ ააცდინა მიზანს), ალბათ არავის უფიქრია, ჩვენებმაც „ისწავლეს“ კუთხურის მიწოდებაო, მაგრამ შეხვედრის მსვლელობაში, როცა დონეცკელთა კართან მიწოდებული კუთხურის შედეგად კიდევ რამდენიმეჯერ შეიქმნა სახიფათო მომენტები, ეს აზრი უთუოდ გაუჩნდებოდა მაყურებელს. საკმარისია ითქვას, რომ ზოლოტნიცკის კარში დანიშნული პენალტიც კუთხურის შედეგი იყო, სტუმართა ერთ–ერთმა მცველმა ხელით ითამაშა და ასე განმუხტა სიტუაცია. ან კიდევ, გაიხსენეთ 69–ე წუთი, როცა „შახტიორი“ მეორე გოლს გადაურჩა. მასპინძლებმა მარჯვენა ფლანგიდან მიაწოდეს კუთხური, სულაქველიძე მინდვრის სიღრმიდან შევარდა საჯარიმოში და თავით მძლავრად დაარტყა – ბურთი სულ მცირე მანძილით ასცდა კარს. თუმცა, ალბათ უმჯობესია ქრონოლოგია დავიცვათ და მოვლენათა მსვლელობას მივყვეთ.

მე-12 წუთზე სტუმართა ერთ–ერთი კონტრშეტევა ძლიერი დარტყმით დაასრულა ვარნავსკიმ. მიწიდან ასხლეტილი ბურთი გაბელიამ ვერ დაიჭირა, მაგრამ, საბედნიეროდ, ბურთმა ზემოდან გადაუფრინა კარს. ძნელი სათქმელია, თბილისელთა

კარის დარაჯზე ამან იმოქმედა უარყოფითად თუ სხვა რაიმე მიზეზმა, მაგრამ შემდეგ გაბელიამ კიდევ რამდენიმე შეცდომა დაუშვა. მეკარის შეცდომა ყველაზე ადვილი შესამჩნევიაო, ხშირად ამბობენ ფეხბურთელები. რა თქმა უნდა, შეცდომები სხვა დინამოელებსაც მოსდიოდათ (იქნებ გაბელიაზე ხშირადაც), მაგრამ მეკარეზე ამჯერად იმიტომ ვამახვილებ ყურადღებას, რომ თბილისელებს საბოლოოდ სწორედ მისმა ოსტატობამ მოუტანა გამარჯვება. ვატყობ, ისევ გავუსწარი მოვლენებს.

28-ე და 34-ე წუთებზე მეტად ეფექტურად ითამაშა გაზაევმა, რომელიც, საერთოდ, მატჩის ერთ–ერთი საუკეთესო მოთამაშე იყო. მან ჯერ მარცხენა ფლანგზე მოხდენილად აუარა გვერდი რამდენიმე მეტოქეს (კარისაკენ მახვილი კუთხით მდგომმა ვეღარ შეძლო ზუსტად დაერტყა), შემდეგ კი ჭედიას გრძელი პასი მიიღო და მოუმზადებლად, ბურთის მიწაზე დაუშვებლად დაარტყა. მართალია, მიზანს ააცდინა, მაგრამ მაყურებლის ტაში დაიმსახურა. ტაიმის მიწურულს უკვე მასპინძელთა კართან შეიქმნა საგოლე მომენტები.: სოკოლოვსკისა (38-ე წუთზე) და სმოლიანინოვის (42–ზე) დარტყმებს გაბელია ადგილზე დაუხვდა. მეორე ტაიმში შედარებით მშვიდი ტემპით დაიწყო, მაგრამ მე-10 წუთისთვის თამაში გამოცოცხლდა. ეს თბილისელთა დამსახურება იყო, რომლებმაც სისწრაფესაც უმატეს და გადაცემების ხარისხიც გააუმჯობესეს. 56-ე წუთზე გაზაევი კვლავ გაუსხლტა მცველებს და მათ ისღა მოახერხეს, რომ აკრძალული ილეთით შეეჩერებინათ თავდამსხმელი. თუმცა, მსაჯმა, სხვაგვარად განსაჯა – თამაშის გაგრძელების ნიშანი მისცა. მაგრამ სტუმართა კარი მაინც ვერ გადაურჩა პენალტს, რომელზეც ზემოთ ვისაუბრეთ: ჩელებაძის დარტყმა უნაკლო გამოდგა.

თამაშის ბოლოს სახიფათო მომენტები ძირითადად მასპინძელთა კართან იქმნებოდა (სმოლიანინოვი, სოკოლოვსკი). დაძაბულობამ კულმინაციურ წერტილს მიაღწია 90-ე წუთზე, როცა თბილისელებმა საკუთარ საჯარიმოში წესი დაარღვიეს და მსაჯმა სავსებით სამართლიანად დანიშნა პენალტი. როცა დონეცკელთა გუნდის კაპიტანი, გამოცდილი სოკოლოვსკი დასარტყმელად მოემზადა, მატჩის დრო ამოწურული იყო, მაგრამ 11-მეტრიანი დარტყმა, როგორც ცნობილია, ასეთ შემთხვევაშიც სრულდება. სოკოლოვსკიმ ძლიერად და საკმაოდ ზუსტად დაარტყა, მაგრამ გაბელიამ ბრწყინვალედ ითამაშა – აკრობატული ნახტომით მოიგერია ბურთი და თავის გუნდს კიდევ ერთი გამარჯვება მოუტანა.

დავით კაკაბაძე

ლელო 1.04.86